

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**დადგენილება №**

**2018 წლის ... ნომბერი  
ქალაქი ბათუმი**

**„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის  
დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს 2014 წლის 23 სექტემბრის №34 დადგენილებაში  
ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს :

**მუხლი 1.**

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 სექტემბრის №34 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), გამოქვეყნების თარიღი: 25/09/2014, სარეგისტრაციო კოდი: 010250040.35.132.016230) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის თავი IV<sup>1</sup> ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი IV<sup>1</sup>. ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო

„მუხლი 26<sup>1</sup>. ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში იქმნება ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო.

2. გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნის წესი, უფლებამოსილება და ფუნქციები განისაზღვრება გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებით, რომელსაც დადგენილებით ამტკიცებს საკრებულო.“.

**მუხლი 2.**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე